PLITONIT
პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

PLITONIT COLORIT FAST CLINKER მშრალი ნარევი ნაკერებისთვის PLITONIT Colorit Fast Clinker (პლიტონიტ კოლორიტ ფასტ კლინკერი)



Colorit Fast Clinker

30 მმ-მდე ნაკერებისთვის შესამოსი აგურის, კლინკერისა და სხვა სახის ფილების წყობაში

იცავს გახუნებისგან, უფრთხილდება ხელის კანს*

2 1-ში – შემავსებელი და ნაკერების ხსნარი
დაცვა მარილის წარმოქმნისგან
მომატებული ყინვამედეგობა F150
ნაკერის მომატებული სიმტკიცე ≥20 მპა

გამოყენების სფერო

ფერადი ნარევი ნაკერებისთვის განკუთვნილია შესამოსი აგურის, კლინკერის ფილების, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების ან მოსაპირკეთებელი ქვის წყობის ნაკერების შესავსებად შიდა და გარე სამუშაოების დროს. გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისა და რემონტისას, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობით, საბავშვო, სკოლამდელ და სამედიცინო დაწესებულებებში (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანატორიულ-საკურორტოში), დაბალსართულიან სახლთმშენებლობაში.

გამოყენების რეკომენდაციები

რეკომენდებული ნაკერის სისქე 6-დან 30 მმ-მდე. რეკომენდებული ზედაპირები: კერამიკული, სილიკატური და კლინკერის შესამოსი აგური, ნატურალური და ხელოვნური ქვა, კლინკერის ფილები, კერამიკული ფილები. შესაძლებელია განაწიბურებით ("ჩაკვერვით") ფენებად დატანა "სველი მიწის" კონსისტენციისას ან სპეციალური პისტოლეტით ან პაკეტით დაშლამვის მეთოდით განაწიბურებისთვის.

პირველი მეთოდი რეკომენდირებულია შესამოს აგურთან, ფაქტურული კლინკერის ფილებთან და ა.შ. სამუშაოებისთვის, მეორე კი - გლუვი ზედაპირის მქონე ფილებისთვის. შესაფერისია როგორც ახალი მშენებლობისთვის, ასევე ნაკერების განახლებისთვის. ნარევი გამოიყენება შენობების ფასადების მოსაპირკეთებელ ელემენტად სისტემაში კლინკერის ფილების წებოსთან PLITONIT Clinker Fix.

სამუშაოების ჩატარების მაღალი სიჩქარე, გაწმენდის და ნაკერების ფორმირების სიმარტივე. სპეციალური ჰიდროფობიური დანამატები შემადგენლობაში ხელს უშლის მარილების წარმოქმნას. მომატებული სიმტკიცე და ყინვამედეგობა უზრუნველყოფს ხანგრძლივ საიმედო გადაწყვეტას საფასადო სამუშაოების პირობებში. დაფასოება - 25 კგ.

პიკტოგრამები/ტექნიკური მახასიათებლები

- გარე და შიდა სამუშაოებისთვის
- ნაკერი 6-30 მმ
- სიარული 12 საათში
- წყალთან კონტაქტი 24 საათი
- ნარევის სიცოცხლისუნარიანობა 2 საათი
- მორევა 3 წუთი
- ყინვამედეგობის მარკა F150
- სიმტკიცე კუმშვისას ≥20 მპა
- გამოყენების ტემპერატურა +5°C-დან +30°C-მდე
- ექსპლუატაციის ტემპერატურა -50°C-დან +70°C-მდე
- ვარგისიანობის ვადა 12 თვე.

ფერთა გამა: 11 ფერი

მასალის ხარჯი*

≈ 2,5 კგ/მ² 240x71x10 მმ ზომის კლინკერის ფილებისთვის პისტოლეტით დატანისას

≈ 3,7 კგ/მ² 240x71x10 მმ ზომის კლინკერის ფილებისთვის „თხევადი მიწის“ კონსისტენციის მდგომარეობაში დატანისას

*მშენებლობის დაწყებამდე რეკომენდირებულია საცდელი ნაკერების შევსება მშრალი ნარევის პრაქტიკული ხარჯის ზუსტად დასადგენად.

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია ჰაერის, ზედაპირისა და შესამოსი მასალის ტემპერატურის შენარჩუნება +5°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე. ექსპლუატაციის ტემპერატურა +70°C-მდე. შემავსებელი განკუთვნილია მათ შორის გარე სამუშაოებისთვის. ამ სახის სამუშაოებისას ნაკერის ზედაპირი დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისგან სამუშაოების შესრულების დროსა და მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

ზედაპირის მომზადება

ნაკერების ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისა და მტვრისგან, მოცილდეს აქერცვლადი ფრაგმენტები. ნაკერის სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ ფილის სისქის ნახევრისა. ნაკერების ფორმირება, წაგლესა უნდა მოხდეს წებოვანი ხსნარის ნარევის მწარმოებლის მიერ დადგენილ ვადებში.

ხსნარის ნარევის მომზადება

მშრალი ნარევის ადუღაბებისთვის აუცილებელია წყლის გამოყენება სასმელი წყალმომარაგებიდან. თაბაფარდობა შერევისას:

ფერები	ჩაკვერვით წასმა "სველი მიწის" კონსისტენციისას 1 კგ მშრალ ნარევზე/25 კგ-იან ტომარაზე	პისტოლეტით ან ნაკერების წასაგლესი პაკეტით წასმა 1 კგ მშრალ ნარევზე/25 კგ-იან ტომარაზე
თეთრი, ბეჟი, ღია ყავისფერი, ყვითელი	0,14-0,16 ლ წყალი/3,5 -4,0 ლ წყალი	0,24 0,27 ლ წყალი/6,0 -6,75 ლ წყალი
რუხი, მუქი რუხი, გრაფიტი, შავი, ყავისფერი, შოკოლადისფერი, აგურისფერი	0,10-0,12 ლ წყალი/2,5 3,0 ლ წყალი	0,17-0,20 ლ წყალი/4,25 -5,0 ლ წყალი

ჩაყარეთ მშრალი ნარევი წინასწარ აზომილ ოთახის ტეპერატურის წყალში და მოურიეთ 2-3 წუთის განმავლობაში ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით ბრუნვის სიხშირით არაუმეტეს 600 ბრ/წთ-ისა ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე. მიეცით ხსნარის ნარევს 5 წუთი დალექვის საშუალება და მოურიეთ ხელახლა. განმეორებითი მორევის დროს დასაშვებია წყლის დამატება ზემოთ აღნიშნული თანაფარდობის მაქსიმალურ მნიშვნელობამდე. მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო - არაუმეტეს 2 საათისა (გამჭოლი ქარი და მაღალი ტემპერატურა ამცირებს ამ დროს).

მუშაობის წესი

განაწიბურებით ("ჩაკვერვით") ფენებად დატანა "სველი მიწის" კონსისტენციისას:
ხსნარი ნაკერებისთვის ისმევა ორ შრედ „ახლად ახალზე“ ტექნიკით და სწორდება განაწიბურებაზე დაჭერით. თანაბრობა, დატანისა და დამუშავების ერთგვაროვნება არის ნაკერების ფერის შემდგომი ერთგვაროვნების გარანტია. სამუშაოდან შესვენების დროს წყობა უნდა დაიხუროს.

პისტოლეტით ან პაკეტით წასმისას დაშლამვის მეთოდით ნაკერების წასაგლესად:
წასმა ხდება სპეციალური პისტოლეტით ან ნაკერების წასაგლესი პაკეტით ნაკერების სრულად ამოვსებამდე. ხსნარი ისმევა „დაშლამვის“ მეთოდით ან გამოიწურება პისტოლეტის შპრიციდან უშუალოდ ფილებს შორის არსებულ ნაკერებში. თანაბრობა, დატანისა და დამუშავების ერთგვაროვნება არის ნაკერების ფერის შემდგომი ერთგვაროვნების გარანტია. ნაკერები ყოველთვის უნდა გასწორდეს ხსნარის შეკვრის ერთსა და იმავე ხარისხზე. ნაკერების ზედაპირის შეკვრისთანავე ფილა უნდა გაიწმინდოს. ნაკერების შეკვრა მოწმდება შეხებით ("ცერა თითის" ტესტით). გაწმინდეთ ფილების ზედაპირი სახეხელას მქონე ღრუბლით ნაკერების დიაგონალზე. ამასთანავე, არ უნდა დაუშვათ ხსნარის ნაკერებიდან გამორეცხვა.

თუ ხსნარი ირეცხება, ეს ნიშნავს, რომ ხსნარის გამაგრების აუცილებელი ეტაპი ჯერ არ არის მიღწეული. გასაწმენდი წყალი რეგულარულად უნდა შეიცვალოს. მორეცხეთ ხსნარის ნარჩენები მანამ, სანამ ზედაპირი სრულად არ გაიწმინდება. ხსნარის ნარჩენებისგან შესამოსი მასალის ზედაპირის საბოლოო გაწმენდა ხდება მშრალი რბილი ნაჭრით.

ყურადღება

სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში. შეძენისას ყურადღება მიაქციეთ პარტიის ნომერს, რადგან პარტიიდან პარტიამდე ფერი შეიძლება, განსხვავდებოდეს. ფერის ელფერსა და მის თანაბრობაზე შეიძლება, გავლენა იქონიოს შემდეგმა მიზეზებმა: ფილების თავდაპირველი გაწმენდა მშრალი მეთოდით; დაბალი ტენიანობა და მაღალი ტემპერატურა; მზის პირდაპირი სხივები და გამჭოლი ქარი; განსხვავება ნაკერების სიღრმეებში; ადუღაბების წყლის ჭარბი რაოდენობა და მისი ხარისხი; ზედაპირის ჭარბი ტენიანობის; ფილების გვერდითი ნაწიბურების განსხვავებული შეწოვის უნარი; არათანაბრად შერეული ნარევი. მოუჭიქავი და უხეში ფილების ნაკერების წაგლესამდე აუცილებელია ნაკერების საცდელი ამოვსება, რათა შემოწმდეს, რამდენად კარგად ირეცხება ფილიდან წასაგლესი ნარევის ნარჩენები. სამუშაოების ჩატარების პროცესში რეკომენდებულია ნარევის დროდადრო მორევა. მზა ნარევში აკრძალულია წყლის დამატება. დაუშვებელია დაჟანგული ხელსაწყოს გამოყენება. ხსნარის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება, შეიცვალოს წყლის ტემპერატურიდან, მშრალი ნარევის ტემპერატურიდან და გარემოს ჰაერის ტემპერატურიდან გამომდინარე. თუ ჰაერის ტემპერატურა არის +20°C-დან +30°C-მდე ფარგლებში, მაშინ სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა ნაკერების დამატებით დატენიანება.

უსაფრთხოების ზომები

ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს!

შემადგენლობა ქვიშა, პორტლანდცემენტი, მინერალური შემავსებელი, მამოდიფიცირებელი დანამატები

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. შეინახეთ დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობას და აარიდებს დატენიანებისგან.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევი შეესაბამება ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვისა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ Р 8.579-2019-ს.

პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა<370 ბკ/კგ, რადიაციული უსაფრთხოების ნორმების-99/2009 სანიტარული წესები და ნორმები 2.6.1.2523–09).
დამზადებულია ტექნიკური პირობების 23.64.10-280-51552155-2018-ის შესაბამისად
სამშენებლო ნიშანი

* ქ. სანქტ-პეტერბურგის ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის ცენტრის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, ნარევი არ ხასიათდება კანის რეზორბციული და სენსიბილიზაციური მოქმედებით. გამაღიზიანებელი მოქმედება კანზე ერთჯერადი ზემოქმედებისას - არ არის, განმეორებითისას - სუსტი. გათვალისწინებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება წინამდებარე ინსტრუქციის უსაფრთხოების ზომების ბლოკის შესაბამისად.